საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 1 დეკემბერი, 2023 წელი

დრო: 18:00 - 20:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთ ასოციაცია
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

საერთო კრების დღის წესრიგის განხილვა და საორგანიზაციო საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

შეხვედრაზე განიხილეს 19 დეკემბერს დაგეგმილი საერთო კრების ორგანიზების საკითხთან დაკავშირებული დეტალები. კერძოდ, სამდივნოს მიერ მომზადდა კრების დღის წესრიგის სამუშო ვერსია, რომელიც ასახავდა ყველა იმ ძირითად საკითხებსა და პროცედურებს, რომელზეც უნდა იმსჯელოს და განიხილოს კრებამ . შეხვედრის მიმდინარეობისას დეტალურად იქნა განხილული შეთავაზებული დღის წესრიგი. კერძოდ: საერთო კრებას წარედგინება პლატფორმის საქმიანობის ანგარიში, რომელსაც წარადგენს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და სამუშო ჯგუფების კოორდინატორები. საქმიანობის ანგარიშს წარმოადგენს დავების განმხილველი ორგანოს თავმჯდომარეც, ასევე ეროვნული კოორდინატორი და ევროკავშირი-საქართველოს პლატორმის თანათავმჯდომარე. საერთო კრებას ასევე წარედგინება წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და ჩატარდება არჩევნები სხვადასხვა პოზიციებზე.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე დაფიქსირდა, რომ საბჭოს 3 წევრი აპირებს შეიმუშაოს წესდების ცვლილების პროექტი. იმის გათვალისწინებით, რომ კრება ისედაც დატვირთულია სხვადასხვა პროცედურებით, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოს წევრების მიერ შემუშავებული წესდების ცვლილებების პროექტები თავდაპირველად განიხილება საბჭოს ფორმატში. ის პუნქტები, რომელზეც საბჭოს უმრავლესობა შეჯერდება, საერთო კრებას წარედგინება როგორც საბჭოს მხარდაჭერილი ინიციატივა, ხოლო იმ ცვლილებებზე, რომელზეც ვერ მოხდება საკოორდინაციო საბჭოს პოზიციების შეჯერება, საერთო კრებას წარედგინება როგორც ინდივიდუალური ინიციატივები. ყველა შემთხვევაში, საერთო კრებაზე განხილული იქნება ყველა შემოთავაზებული და შემუშავებული ინიციატივა მუხლობრივად. კრებაზე, ღია კენჭისყრით მოხდება ცვლილებების განხილვა. ასევე, საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა, რომ თუ წესდების ცვლილების პროექტის კონკრეტული ინიციატივები შეეხება არჩევნების პროცედურებს, ამ შემთხვევაში მოზადდება გარდამავალი დებულება, რომელშიც აისახება, რომ მხარდაჭერის შემთხვევაში, ეს ცვლილება ამოქმედდება რიგით მომდევნო კრების ჩატარების პროცესში.

2023 წლის 19 დეკემბერს დაგეგმილ საერთო კრებაზე ჩატარდება რამდენიმე არჩევნები, კერძოდ:

- საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები
- სამუშაო ჯგუფის კოორდინატორთა არჩევნები
- ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის წევრთა არჩევნები
- დავების განმხილველი ორგანოს წევრთა არჩევნები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე, მმართველი კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს საარჩევნო პრეცედურებსა და სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე. საბჭოს გადაწყვეტილებით, სამდივნო მოამზადებს დეტალურ ინფორმაციას საარჩევნო

პროცედურების შესახებ და გაუზიარებს პლატფორმის წევრებს.

საერთო კრებაზე დასახელდება და აირჩევა ხმისდამთვლელი კომისიის შემადგენლობა. საარჩევნო პროცედურებისთვის სამდივნო უზრუნველყოფს 4 განსხვავებული ფერის ბიულეტინის მომზადებას. საარჩენო პროცედურების დაწყებასა და ბიულეტენიბის გაცემას, სამდივნოსთან ერთად, უზრუნველყოფს ხმისდამთვლელი კომისიის წევრი. ყველა ბიულეტინში ხმისუფლების მქონე პირები ჩაწერენ მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სახელსა და გვარს.

საერთო კრებამდე, სამდივნო მაქსიმალურად შეეცდება დაუკავშირდეს იმ წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც არ აქტიურობენ პლატფორმაში, არ ეხმიანებიან სამდივნოს მიერ გაგზავნილ ინფორმაციებს და არ მიიღეს მონაწილეობა მონაცემთა ბაზის განახლების პროცესში, როემლიც მიზნად ისახავდა წევრი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაციების განახლებას.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ევროკავშირის ელჩს გაუგზავნის მოსაწვევ წერილს, რომელშიც მას მიაწოდებს ინფორმაციას დაგეგმილ საერთო კრებასთან დაკავშირებით და თხოვნით მიმართავს, რომ მისასალმებელი სიტყვით წარსდგეს პლატფორმის წევრთა საერთო კრებაზე.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე განხილული იყო პროექტით გათვალისწინებული ერთ-ერთი აქტივობის, მაღალი დონის კონფერენციის, ორგანიზების საკითხი. საკოორდინაციო საბჭოს წევრები და თავმჯდომარე მიიჩნევენ, რომ სამმხრივი კონფერენციის ფარგელბში განხილული უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების როლი და მათი გაძლიერების თემატიკა. ასევე DCFTA და სხვადასხვა სექტორული საკითხები. სამდივნო დაიწყებს მოლაპარაკებას საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელია და მოსწრებადია წლის ბოლომდე კონფერენციის ორგანიზება. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები ჯგუფების შეხვედრაზე წევრებს მიაწოდებენ ინფორმაციას, რომ თუ ტექნიკურად მოხერხდა სამმხრივი კონფერენციის ორგანიზება, ისინი ჩართულები იქნებიან დღის წესრიგის შემუშავების პროცესში.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე